საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/124 " 20 " ივნისი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ნ. ჯოხაძის ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ

2019 წლის 3 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლერი თედორაძე მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის საფუძველზე დაინიშნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 2019 წლის 15 ივნისიდან ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მივლინებულ მოსამართლე მურთაზ კაპანაძეს დაუმთავრდა მივლინების ვადა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში დარჩა ერთი მოსამართლე, რომელსაც წარმოებაში აქვს 126 სისხლის სამართლის საქმე, აქედან 2 საქმე განსახილველია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ზემოთ აღნიშნული 2 მოსამართლის წარმოებაში იყო 121 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა გადანაწილება მოხდა როგორც კოლეგიაში დარჩენილ ერთ მოსამართლეზე, ისე სამოქალაქო სპეციალიზაციის მოსამართლეებზე, რამაც მკვეთრად გააუარესა სამოქალაქო სპეციალიზაციის მოსამართლეთა მდგომარეობა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 2019 წლის 20 ივნისის სხდომაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის მივლინების საკითხის განხილვა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე ზესტაფონისა და სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს, რომელთაგან ვერ იქნა მოპოვებული თანხმობა მივლინებაზე. აღნიშნულის შემდეგ მივლინების თხოვნით მიემართა, მოსამართლეთა რაოდენობისა და დატვირთვის გათვალისწინებით, ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს და მოსამართლე ნანა ჯოხაძისგან მიღებულ იქნა თანხმობა.

ნ. ჯოხაძეს წარმოებაში აქვს 60 საქმე (როგორც სასარჩელო, ისე უდაო წარმოების), რომელთა გადანაწილება მოხდება იგივე სპეციალიზაციის 2 მოსამართლეზე, რაც არ გამოიწვევს მოსამართლეთა დატვირთულობის მკვეთრ ზრდას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ნანა ჯოხაძე, მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად, მივლინებულ იქნას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში 2019 წლის 24 ივნისიდან 2020 წლის 23 ივნისამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი